

საბანკო მომსახურების შესახებ ხელშეკრულების დანართი N11 – Pay Sticker

1. **Pay Sticker**-ის საშუალებით შესაძლებელია განხორციელდეს გადახდა, პოს ტერმინალთან **Pay Sticker**-ის მიტანის გზით.
2. **Pay Sticker**-ი აღჭურვილია უკონტაქტო აპლიკაციით, რომლის საშუალებითაც გადახდა წარმოებს **PIN კოდის** გარეშე, მაქსიმუმ 45 (ორმოცდახუთი) ლარის ფარგლებში.
3. **Pay Sticker**-ი შესაძლებელია იყოს ნებისმიერი Mastercard-ის ტიპის სადებეტო/საკრედიტო ბარათის (გარდა American Express, sCool Card, Student Card და Maxima ბარათებისა) **დამატებითი ბარათი**.
4. **Pay Sticker**-ი დაკავშირებული იქნება შესაბამისი ბარათის ანგარიშთან და შესაბამისად გადახდა განხორციელდება ამ ანგარიშიდან.
5. **Pay Sticker**-ი საშუალებით შესაძლებელია გადახდა განხორციელდეს:
 - 5.1. სავაჭრო ან/და მომსახურების ობიექტებში.
 - 5.2. ტრანსპორტსა (ასეთის შესაძლებლობის არსებობის შემთხვევაში) და თბილისის საზაგირო გზებზე.
 - 5.3. დისტანციურ არხებში: Express Pay, მობილ ბანკი, ინტერნეტ ბანკი.
6. **Pay Sticker**-ის საშუალებით შესაძლებელია კლიენტმა გაიაროს იდენტიფიკაცია Express Pay-ს თვითმომსახურების ტერმინალთან.
7. **Pay Sticker**-ის გამოყენებისას წარმოებს Express ბონუს ქულების დარიცხვა, ერთ გადახდაზე 10 (ათი) Express ბონუს ქულის დარიცხვით.